N 04/46
14/04/2022

ბრძანება

46-01-4-202204141453

შპს „ჯეო ჰოსპიტალსა“ (ს/კ 404907730) და შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურს“ (ს/კ 406055879) შორის დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების, 11^1 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის და სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „გადაწყვეტილება შპს „ჯეო ჰოსპიტალსა“ (ს/კ 404907730) და შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურს“ (ს/კ 406055879) შორის დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“ თანდართული სახით;
2. შპს „ჯეო ჰოსპიტალსა“ (ს/კ 404907730) და შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურს“ (ს/კ 406055879) შორის დაგეგმილი კონცენტრაცია მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად;
3. გადაწყვეტილება გაეგზავნოთ შეტყობინების საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში წარმომდგენ ეკონომიკურ აგენტებს;
4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს კონკურენციის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ, პერსონალურ და საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით;

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64);

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე

გადაწყვეტილება

შპს „ჯეო ჰოსპიტალს“ (ს/კ 404907730) და შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურს“ (ს/კ 406055879) შორის დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

I. ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში, 2022 წლის 7 მარტის N01/408 წერილით შემოვიდა შეტყობინება ეკონომიკური აგენტების - შპს „ჯეო ჰოსპიტალსსა“ (ს/კ 404907730) და შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურს“ (ს/კ 406055879) შორის დაგეგმილი კონცენტრაციის შესახებ.

შეტყობინება მოიცავდა კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი ფორმით მოთხოვნილ ინფორმაციას მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ:

- ზოგადი მონაცემები კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ;
- ზოგადი ინფორმაცია კონცენტრაციის შესახებ - ფორმა, მიზანი;
- ეკონომიკურ აგენტთა მახასიათებლები - კონცენტრაციის მხარეების წილის მფლობელები, დაკავშირებული კომპანიები, კორპორატიული სტრუქტურა, ოპერაციები საქართველოს ტერიტორიაზე, წლიური ბრუნვები 2021 წელს;
- კონცენტრაციის დეტალური აღწერა - შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა; მეთოდოლოგია, რომლითაც იხელმძღვანელეს შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას; უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნეს-გეგმა; მონაწილე სუბიექტთა საბაზრო წილები; პროდუქტები, რომელთა რეალიზაციაც ხორციელდება მხარეების მიერ; ინფორმაცია კონცენტრაციის დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის შესახებ; კონცენტრაციის მოსალოდნელი შედეგების აღწერა; საკითხები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტაზე და რაზეც უნდა იქნეს სააგენტოს მიერ ყურადღება გამახვილებული.

შეტყობინებას თან ახლდა დანართები:

- ინფორმაცია შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურთან“ დაკავშირებული ეკონომიკური აგენტების შესახებ, დიაგრამის სახით;
- ინფორმაცია შპს „ჯეო ჰოსპიტალსთან“ დაკავშირებული ეკონომიკური აგენტების შესახებ, დიაგრამის სახით;
- ინფორმაცია შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურის“ დებიტორების/კრედიტორების შესახებ;
- ინფორმაცია შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ დებიტორების/კრედიტორების შესახებ;
- ინფორმაცია შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურის“ და შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ მიერ 2021 წელს შეძენილი და რეალიზებული ძირითადი საქონლის/მომსახურების შესახებ;
- ინფორმაცია, შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურის“ და შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ საწოლფონდის შესახებ.

ინფორმაცია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ:

- შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ საქმიანობის სფეროა სამედიცინო მომსახურება, რომლის მიწოდებაც ხორციელდება რეგიონებში. 2021 წელს კომპანიის ბრუნვამ შეადგინა [redacted] ლარი;

- შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურის“ საქმიანობის სფეროა სამედიცინო მომსახურება, რომლის მიწოდებაც ხორციელდება ქ. თბილისში. 2021 წელს კომპანიის ბრუნვამ შეადგინა [redacted] ლარი.

კონცენტრაციის ფორმა:

კონცენტრაციის ფორმა არის შეძენა - საკუთრების ან კონტროლის უფლების მოპოვება ეკონომიკურ აგენტზე ან მის ნაწილზე მის კაპიტალში წილის/აქციების შესყიდვის, მმართველობით ორგანოებში საკუთარი წარმომადგენლების დანიშვნის ან ეფექტური კონტროლის სხვაგვარად მოპოვების გზით. შესაბამისი გარიგების საფუძველზე, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თანხმობით, შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“, როგორც შემძენი, გეგმავს შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურზე“ საკუთრების უფლების მოპოვებას მისი 100%-იანი წილის შეძენის გზით.

კონცენტრაციის მხარეები:

<u>შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ (ს/კ 404907730)</u> 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორია შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ (ს/კ 405322182). დაკავშირებულ ურთიერთდამოკიდებულ ეკონომიკურ აგენტებს წარმოადგენენ:

- შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ (ს/კ 405322182);
- შპს „მეიდანზე“ (ს/კ 404541484);
- შპს „ჰიპ რისერჩი“ (ს/კ 400192938);
- შპს „ქუთაისის ცენტრალური საავადმყოფო“ (ს/კ 212685423) - *მოქმედებს კონცენტრაციის შესაბამის ბაზარზე;*
- შპს „საჩხერის რაიონის სასწრაფო დახმარების ცენტრი 03“ (ს/კ 239403864);
- შპს „მცხეთა-მთიანეთის ჯანმრთელობისა და სასწავლო რესურსების ცენტრი“ (ს/კ 436032552) - *მოქმედებს კონცენტრაციის შესაბამის ბაზარზე;*
- შპს „პულსარ დიჯითალ“ (ს/კ 404574153);
- შპს „ჯენერალ თრეიდინგ“ (ს/კ 404594694);
- შპს „ჯეო ინვესტმენტს“ (ს/კ 404524225);
- შპს „ჯეო დეველოპმენტი“ (ს/კ 405241867);
- სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ (ს/კ 404526777);
- შპს „ლა ნინა რეზიდენს“ (ს/კ 404616242);
- შპს „საქართველოს მომავალი“ (ს/კ 405472643);
- ააიპ „ჯანდაცვის ასოციაცია“ (ს/კ 405142689);
- One Stop Print General Trading (Dubai) (R/N 1318874);
- შპს „ენ ჰოსპიტალითი“ (ს/კ 404626400);
- შპს „ჯეო ფილერი“ (ს/კ 405228114);
- შპს „ბბ თრეველ“ (ს/კ 404627212).

<u>შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურის“ (ს/კ 406055879)</u> 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორია შპს „ჯი ენდ ეიჩ ჰოსპიტლები“ (ს/კ 405504226). დაკავშირებულ ურთიერთდამოკიდებულ ეკონომიკურ აგენტებს წარმოადგენენ:

- შპს „ამტელ მედიქალ ფროფერთის“ (ს/კ 406057868);
- შპს „ნეომარკეტი“ (ს/კ 405320193);

- შპს „მულტიფლეი“ (ს/კ 405344382);
- შპს „ბრო“ (ს/კ 405473321);
- შპს „ვოგი“ (ს/კ 405386568);
- შპს „ლურჯი მოცვის ბაღი“ (ს/კ 405485096).

შპს „ჯეო ჰოსპიტალსს“ ბოლო 3 წლის განმავლობაში შეძენილი აქვს ირაკლი ლაღიძის ([redacted]) საკუთრებაში რეგისტრირებული, კონცენტრაციის შესაბამის ბაზარზე მოქმედი შპს „ქუთაისის ცენტრალური საავადმყოფოს 10%-იანი წილი და ვლადიმერ კანდელაკის ([redacted]) საკუთრებაში რეგისტრირებული შპს „პულსარ დიჯითალის“ 12.25%-იანი წილი.

შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურს“ ბოლო 3 წლის განმავლობაში კონცენტრაციის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისგან წილი არ შეუძენია.

შეტყობინებაში მოცემულია შემძენის პოზიცია შესაბამის ბაზართან დაკავშირებით, რის ფარგლებშიც პროდუქციულ საზღვრად მიჩნეულია სტაციონარული და ამბულატორიული დონეები, ასევე პედიატრიულ სერვისებზე წვდომა. ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად მიჩნეულია საქართველო, იმის გათვალისწინებით, რომ მომსახურების მიწოდება ხორციელდება საქართველოს მასშტაბით, ხოლო დროით ჩარჩოდ - კალენდარული წელი. შემძენის ინფორმაციით, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულ იქნა - მოსახლეობის რაოდენობა და ასაკობრივ-სქესობრივი გადანაწილება, მოსახლეობის ავადობა, სამედიცინო სერვისებზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, ქვეყანაში არსებული სერვისების სპექტრი, მოცულობა და გადანაწილება, მკურნალობის უწყვეტობის შესაძლებლობა, ის დაავადებები/მდგომარეობები, რომლებსაც უკავშირდება პაციენტების უცხოეთში გადინება, სამედიცინო ადამიანური რესურსის შეფასება და ა.შ.

შეტყობინებაში აღწერილია კონცენტრაციის ფორმა და მიზანი, კერძოდ, კონცენტრაციის მთავარი მიზანია შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურის“ პოზიციონირება რეფერალურ კლინიკად, რომელიც გახდება რეფერალის ბოლო საფეხური რეგიონებში განთავსებული შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ როგორც ამბულატორიული, ასევე სტაციონარული პაციენტებისათვის, რომლებიც საჭიროებენ მაღალტექნოლოგიურ სერვისს, ასევე სპეციალიზებულ პედიატრიულ დახმარებას.

შეტყობინებაში წარმოდგენილია უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნეს გეგმები, მოსალოდნელ/სავარაუდო შედეგებთან ერთად: მომდევნო 2 წლის განმავლობაში იგეგმება მძლავრი საუნივერსიტეტო მრავალპროფილიანი კლინიკის ჩამოყალიბება, რომელიც 24/7 პრინციპით უზრუნველყოფს ხელმისაწვდომი, სრული ამბულატორიულ-სადიაგნოსტიკო და სტაციონარული/მაღალტექნოლოგიური სერვისების მიწოდებას ნებისმიერი ასაკის მომხმარებლისთვის და მკურნალობის უწყვეტობას. კერძოდ, მომდევნო 2 წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება კლინიკის დიაგნოსტიკური შესაძლებლობების გაფართოება (მაგალითად, დამონტაჟდება მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის აპარატი), გაძლიერდება ქირურგიული (მათ შორის ბავშვთა), კარდიოლოგიური, ნევროლოგია/ნეიროქირურგიული (მათ შორის ინსულტის მართვა) სერვისები. კონცენტრაციის შედეგად შემძენის მოლოდინით, 24 თვიან პერიოდში მოსალოდნელია საერთო შემოსავლების [redacted]% - იანი ზრდა.

შემძენის ინფორმაციით, კონცენტრაციას დადებითი ზეგავლენა ექნება მაღალტექნოლოგიურ და ინოვაციურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით. მხარეებს კონცენტრაციის ნეგატიური გავლენის მოლოდინი არ აქვთ, ამასთანავე მითითებულია, რომ 2021 წელს გამოქვეყნებული „გალტ ენდ თაგარტის“ ოფიციალური კვლევის (ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი - ჯანდაცვის სფეროს ფინანსური სტაბილურობის და რისკების შეფასება (მე-14 ტალღა)) საფუძველზე,

2019 წლის შემოსავლების მიხედვით, შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ წილი შესაბამის ბაზარზე შეადგენდა [redacted] %-ს, პროპორციული დათვლით. ამავე წელს, შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურს“ წილი შესაბამის ბაზარზე (შემოსავლების მიხედვით) შეადგენდა [redacted]%-ს. შესაბამისად, შემძენი კონცენტრაციის პროცესის დასრულების შემდეგ, კომპანიის საბაზრო წილის მხოლოდ მცირედით გაზრდას ვარაუდობს.

მხარეები ადასტურებენ, რომ შეტყობინებაში წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და მათთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მიწოდებით გამოწვეული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების შესახებ.

II. სამართლებრივი მიმოხილვა

წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მატერიალური და პროცედურული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით და სხვა.

სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომელიც ერთობლივად აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და მე-11[1] მუხლების მოთხოვნებს.

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის განმარტება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრება ის უფლებები, რომელიც გამოიყენება კონცენტრაციის მიზნებისთვის კონტროლის განსახორციელებლად;
2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან, ხოლო კონცენტრაცია, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას, დაუშვებელია.
3. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის მიხედვით, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი (ჯამური) წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს.

4. კანონის მე-11[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვისთვის დაწესებული საფასური შეადგენს 5 000 ლარს.
5. კანონის მე-11[1] მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, თუ დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა კანონის რეგულირების სფეროში, სააგენტო კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვას იწყებს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ და ამ დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 25 სამუშაო დღისა, ვალდებულია განიხილოს და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

   ა) დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ;

   ბ) კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლებელია დაგეგმილი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადი არ იყოს ან თუ, საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი საკითხის დამატებით შესწავლა.
6. კანონის მე-11[1] მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინება განიხილოს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა. ამ ვადაში სააგენტოს მიერ აღნიშნულ შეტყობინებაზე პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად მიიჩნევა.
7. იმ ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის რეგისტრაციისთვის, რომლებსაც ეკისრებათ ამ კანონის 11[1] მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება, აუცილებელია არსებობდეს სააგენტოს გადაწყვეტილება მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის შესახებ. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.
8. კანონის მე-11[1] მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვამდე ან სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია. სააგენტოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია.
9. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტებით განისაზღვრება დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების საკითხები. აღნიშნული აქტები მოიცავს, როგორც სასაქონლო ბაზრის, ასევე დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების პრინციპებს, შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს.
10. კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის“.

III.ბაზრის ანალიზი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

ა) პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

წარმოდგენილი შეტყობინების მიხედვით, შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ და შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკური“ მოქმედებენ სამედიცინო სერვისების მიწოდების ბაზარზე. კონცენტრაციის ფარგლებში და მისი შეფასების მიზნებისთვის, სააგენტოს მიერ შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრად მიჩნეულ იქნა სამედიცინო სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურება, რაც წარმოადგენს სააგენტოს პრაქტიკას სამედიცინო სერვისების მიწოდების ბაზარზე კონცენტრაციების განხილვის პროცესში.[1] აღნიშნული არ გამორიცხავს, კონკრეტული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში და მისი მიზნებისთვის, შესაბამისი ბაზრის სხვაგვარად განსაზღვრის შესაძლებლობას.

ბ) გეოგრაფიული საზღვრები

მომსახურების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, გეოგრაფიულ საზღვრად შესაძლებელია განისაზღვროს ეროვნული დონე. თუმცა, გასათვალისწინებელია კონცენტრაციის მხარეების მიერ მომსახურების მიწოდების არეალი. კერძოდ, შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ მიერ სამედიცინო მომსახურების მიწოდება ხდება მხოლოდ რეგიონებში და კომპანია არ ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას ქ. თბილისში. ხოლო შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურის“ მიერ სამედიცინო მომსახურების მიწოდება ხორციელდება მხოლოდ ქ. თბილისის მასშტაბით. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ გეოგრაფიულ ბაზრად განისაზღვრება კონკრეტული რეგიონი/რეგიონები ან/და ქალაქი, დაგეგმილი კონცენტრაცია არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესაბამის ბაზარზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით და სააგენტოს პრაქტიკის გათვალისწინებით, სააგენტომ მიზანშეწონილად ჩათვალა განესაზღვრა ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები ეროვნულ დონეზე.

---

[1] სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 21 აგვისტოს N04/122 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება „სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა“ (ს/კ 211328703) და შპს „გნ კოს“ (ს/კ 204964887) შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“.
https://admin.competition.ge/uploads/932de840af6e4c4db6c43e52454bc23b.pdf
სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 ივნისის N04/144 ბრძანება „შპს „მედკაპიტალისა“ და შპს „მედისონ ჰოლდინგს“ შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“.
https://admin.competition.ge/uploads/1599afd6223d41eb9e14c5c4d8eda85f.pdf

გ) დროითი ჩარჩო

პროდუქციის მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით, შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

ბაზრის მოცულობა და კონცენტრაციის ინდექსი:

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ბაზრის მოცულობა წარმოადგენს დროის განსაზღვრულ პერიოდში ბაზარზე მიწოდებული საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მოცულობას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის მოცულობა იანგარიშება ამ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიერ რეალიზებული საქონლის/მომსახურების მოცულობათა ჯამით. ბაზრის ანალიზის პროცესში, სააგენტო ეყრდნობა აუცილებლობის და თანაზომიერების პრინციპებს და ბაზრის ანალიზს ახორციელებს მიზნის მისაღწევად საჭირო და პროპორციული კვლევის ჩატარების გზით.

ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაბამისი ბაზრის მოცულობის და ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილების გამოთვლის მიზნით, საჭირო გახდა ინფორმაციის გამოთხოვა/მიღება უშუალოდ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისაგან. შესაბამის ბაზარზე, სამედიცინო მომსახურებას ახორციელებს 400-ზე მეტი ეკონომიკური აგენტი. კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის შეფასების მიზნით, ინფორმაცია 2021 წლის წლიური ბრუნვის შესახებ, სტაციონარული და ამბულატორიული დონეების მიხედვით გამოთხოვილ იქნა ბაზარზე მოქმედი 58 ეკონომიკური აგენტისგან. 58 ეკონომიკური აგენტის წილი ბაზრის სრულ მოცულობაში შეადგენს დაახლოებით 70%-ს. 58 მსხვილი კომპანიის მონაცემები საკმარისია ბაზარზე კონცენტრაციის მიზნებისთვის კონკურენტული გარემოს შეფასებისთვის იმ შემთხვევაში, თუ არსებული მონაცემებით დაგეგმილი კონცენტრაცია თავსებადად ჩაითვლება კონკურენტულ გარემოსთან, რადგან, კომპანიათა დამატებითი რაოდენობა გაზრდის ბაზრის მოცულობას, რაც კიდევ უფრო მეტად შეამცირებს მსხვილი კომპანიების საბაზრო წილებს და შესაბამისად ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს.

მიღებული ინფორმაციის მიხედვით, გამოიკვეთა შემდეგი:

სტაციონარული დონე:

ბაზრის მოცულობა: 1 126 838 216 ლარი;

HHI - ბაზრის კონცენტრაციის ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი:[2] 413.4;

ΔHHI[3] – 20.7;

შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ წილი: [redacted]%;

შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურის წილი: [redacted]%;

ყველაზე მსხვილი ეკონომიკური აგენტი: სს „ევექსის ჰოსპიტლები“.

---

[2] „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-9 მუხლის მიხედვით, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის საფუძველზე გამოთვლილი კონცენტრაციის დონის მიხედვით, შესაბამისი ბაზარი შეიძლება იყოს - დაბალკონცენტრირებული, ზომიერად კონცენტრირებული ან მაღალკონცენტრირებული: ა) დაბალკონცენტრირებული - HHI<1250; ბ) ზომიერად კონცენტრირებული - 1250<HHI<2250; გ) მაღალკონცენტრირებული - HHI>2250.

[3] კონცენტრაციის ინდექსის ცვლილების მაჩვენებელი.

ამბულატორიული დონე:

ბაზრის მოცულობა: 427 251 439 ლარი;

HHI - ბაზრის კონცენტრაციის ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი: 646;

ΔHHI – 1.4;

შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ წილი: [redacted]%;

შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურის წილი: [redacted]2%;

ყველაზე მსხვილი ეკონომიკური აგენტი: შპს „ავერსის კლინიკა“.

კონცენტრაციის ფარგლებში განხორციელებული ბაზრის ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ შესაბამისი ბაზარი როგორც ამბულატორიულ, ასევე სტაციონარულ დონეზე დაბალკონცენტრირებულია. კონცენტრაციის შედეგად, სტაციონარულ დონეზე ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი იზრდება 20.7 ერთეულით, ხოლო ამბულატორიულ დონეზე 1.4 ერთეულით. სტაციონარულ დონეზე, კონცენტრაციის მონაწილე მხარეების საერთო წილი ბაზარზე შეადგენს [redacted]%-ს, ხოლო ამბულატორიულ დონეზე [redacted]%-ს.

IV. სააგენტოს დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ დაადგინა, რომ შპს „ჯეო ჰოსპიტალს“ (ს/კ 404907730) და შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურს“ (ს/კ 406055879) შორის დაგეგმილი კონცენტრაცია, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან. კერძოდ, შესაბამისი ბაზარი/ბაზრები დაბალკონცენტრირებულია და კონცენტრაციის შედეგად ადგილი არ აქვს HHI ინდექსის არსებით ცვლილებას.